ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 29250925**
თარიღი:**02/04/2025**

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 28 მარტის №28-282508789 წერილის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თერჯოლაში მდებარე ქონება ს.კ. 33.09.33.450; **90 კვ.მ.** არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს მოქალაქე **გიორგი აბულაძეს (პ.ნ.21001026129).**

**მუხლი 2. 1 კვ.მ** მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით სარგებლობის საფასური, 1 (ერთი) წლის საიჯარო თანხა განისაზღვროს **20 (ოცი)** ლარით. შესაბამისად **90 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის 1 (ერთი) წლის საიჯარო ღირებულება ჯამში **1800 (ათას რვაასი)** ლარით.

**მუხლი 3.** განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 5.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7 ) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM